ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №21

27.12.2022 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

14:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
4. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
5. ანა გოგოლაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032234375-03; 09.12.2023).

მომხსენებელი:

- **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.
- **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

კომისიის სხდომა გაიმართა ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიებთან ერთად.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებელს სთხოვა წარედგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

გ.თალაკვაძე - მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული დადგენილების პროექტი.

როგორც მან აღნიშნა, წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 632 132,6 ათასი ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 305 418,2 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 326 714,4 ათასი ლარით, ხოლო 2023 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან (1 438 775,2 ათასი ლარი) შედარებით 193 357,4 ათასი ლარით. აღნიშნული გამოწვეულია საკუთარი შემოსულობების დაზუსტების, საქართველოს პარლამენტში „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის“ მესამე წარდგენის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიმდინარე წლის 6 დეკემბერს მიღებული წერილის (N04-03/110961) გათვალისწინებით, რომლის თანახმად, იზრდება დამატებული ღირებულების გადასახადი 33 356,8 ათასი ლარით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის სახით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყოფა 170 000,0 ათასი ლარი. ასევე, დაზუსტდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვა კაპიტალური გრანტების სახით (34 000,0 ათასი ლარი) მისაღები შემოსავლები, თბილისის მეტროს პროექტის (EBRD) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის 10 000,0 ათასი ლარით შემცირების ხარჯზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით ასიგნებები მიიმართება შემდეგ პრიორიტეტებზე:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 522,096.4 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 243,813.7 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 211,901.7 ათასი ლარი;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 2,029.5 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38,696.3 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 144,160.7 ათასი ლარი;
- განათლება - 225,917.8 ათასი ლარი;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 52,531.4 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 11,436.8 ათასი ლარი.
- ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 179 548,3 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 577 032,6 ათასი ლარის ოდენობით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (1 230 318,2 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 346 714,4 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის პროექტის პირველ ვერსიასთან შედარებით გაზრდილია 193 357,4 ათასი ლარით.

2023 წლისათვის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 42 115,5 ათასი ლარით, რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა განსაზღვრულია 522 096,4 ათასი ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (262 892,5 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 259 203,9 ათასი ლარით, ხოლო პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებაში - 107 000,0 ათასი ლარით მეტია. პრიორიტეტის ფარგლებში ტრანსპორტის განვითარების პროგრამა დაფინანსებულია 405,357.0 ათასი ლარით, რაც ბიუჯეტის პირველ წარდგენილ პროექტთან მიმართებით გაზრდილია 75 000,0 ათასი ლარით. ტრანსპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში თანხის მატება აღინიშნება გარკვეულ ქვეპროგრამებში. მათ შორის ქვეპროგრამაში - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) 35 000,0 ათასი ლარით და შეადგენს 65,357.0 ათას ლარს; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) - 30 000,0 ათასი ლარით და შეადგენს 50, 000.0 ათას ლარს; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) - 10 000,0 ათასი ლარით და შეადგენს 286,000.0 ათას ლარს; ქვეპროგრამა მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (კოდი 01 02 03) წარმოდგენილია იგივე თანხით და განსაზღვრულია 4,000.0 ათასი ლარით.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი განსაზღვრულია 440 000,0 ათასი ლარით, რაც პირველ წარდგენილ პროექტთან შედარებით 170 000,0 ათასი ლარით მეტია. აღნიშნული თანხის ფარგლებში სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად დაფინანსდება M2 კატეგორიის ავტობუსების შეძენა.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ა.გოგოლაძე დაინტერესდა, რამდენი ერთეული ავტობუსი დაემატება 2023 წელს ავტობუსების პარკს.

ლ.მიქავას განმარტებით, 2023 წელს ტენდერი გამოცხადდება 200 ერთეული ავტობუსის შესყიდვაზე, თუმცა 200 ერთეულის მოწოდება 2023 წელს ვერ მოესწრება.

შ.ოგბაიძე დაინტერესდა, ავტობაზის მშენებლობისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობით.

გ.თალაკვაძის განმარტებით, ავტობაზის მშენებლობისთვის გათვალისწინებულია 20 000 000 ლარი.

შ.ოგბაიძე - წარმოდგენილი პროექტი ცხადჰყოფს, რომ მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება დედაქალაქის ბიუჯეტისთვის კვლავ ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ტრანსპორტის განვითარების მიმართულებით არსებული პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხებით 2023 წლის განმავლობაში დაგეგმილია მნიშვნელოვანი ღონისძიებები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმართულებით. გრძელდება საავტობუსო პარკის განახლება-შევსება. 2023 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება 3 ხიდს. კერძოდ, დაგეგმილია უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდური გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები, დიდუბის რაიონში, შალიკაშვილის სახელობის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, მდინარე მტკვარზე მშვიდობის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

შ.ოგბაიძემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი და ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 1), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032234375-03; 09.12.2023) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე